კომპანია „ნობლექსი“ 2005 წლიდან მოღვაწეობს აგრობიზნესში და წარმოადგენს ერთერთ უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანიას ამ მიმართულებით საქართველოს მასშტაბით, რომელიც თბილისსა და კახეთში წარმოდგენილია მაღაზიათა ქსელით **„აგროსფერო“.**

„ნობლექსი“ ახორციელებს ღვინისა და ალკოჰოლიანი, აგრეთვე წყლისა და უალკოჰოლო სასმელების მცირე, საშუალო და ინდუსტრიული წარმოებისათვის განკუთვნილი საწარმოო ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, საფილტრაციო და დამხმარე მასალების იმპორტსა და დისტრიბუციას.

კომპანია „ნობლექსი“-ს პარტნიორები არიან მსოფლიოს წამყვანი კომპანიები:
PALL CORPORATION - ფილტრაცის დანადგარები და საფილტრაციო მასალები
SEGUIN MOREAU - მუხის კასრები და დამხმარე მასალები
MOOG - კასრისა და ავზის გამრეცხი სისტემები
FERMENTIS - ღვინის დამხმარე მასალები
GRIFO - მცირე მეღვინეობის დანადგარები

სრული ინფორმაციისთვის: www.agrosphere.ge;

ჩვენი კომპანია გთავაზობთ **პროდუქტ-მენეჯერის** პოზიციაზე მუშაობას, სასმელების ინდუსტრიის მიმართულებით

ძირითადი მოვალეობები:

- უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების საწარმოო ინვენტარის, მანქანა-დანადგარის, საფილტრაციო და დამხმარე მასალების მიმართულებით არსებული პორტფელის ეფექტური მართვა
- მოლაპარაკებების წარმოება არსებულ თუ პოტენციურ მომწოდებლებთან და პარტნიორული ურთიერთობის განვითარება
- ადგილობრივი ბაზრის ანალიზი და მოთხოვნების შესწავლა
- სწორი ფასწარმოქმნა და გაყიდვების სტიმულირება
- ახალი პროდუქტის დანერგვის სამუშაოების ორგანიზება და კოორდინირება

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- აუცილებელია, მეღვინეობა-მევენახეობის ან ინჟინერ-ტექნოლოგიის მიმართულებით განათლება
- მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება (გამოცდილების არ ქონის შემთხვევაში: კომერციული საქმიანობისადმი ინტერესი: ბაზრის კვლევა, მოლაპარაკება, ანალიზი, შესყიდვა, გაყიდვების მხარდაჭერა და ა.შ.)
- აუცილებელია: ინგლისური და რუსული ენების ცოდნა
- Excel- ის კარგი ცოდნა
- ქვეყნის გარეთ, მივლინებით ვიზიტის შესაძლებლობა

რეზიუმე გამოაგზავნეთ, მეილზე: hr@noblex.ge 15.02.2020-ის ჩათვლით
გაითვალისწინეთ: აუცილებელია რეზიუმეს გამოგზავნისას, მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება

წარმატებებს გისურვებთ !

ჩვენი პარტნიორი კომპანიის შესახებ ინფორმაცია (იმ კომპანიის, რომელთანაც პროდუქტ-მენეჯერს მოუწევს თანამშრომლობა):

https://pall.com/

http://seguin-moreau.fr/

https://www.moog.ch/

https://fermentis.com/en/

https://www.grifomarchetti.com/